

საქართველოს პარლამენტის დადგენილება
1801 წლიდან საქართველოში რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებული
რელიგიური პოლიტიკის უკანონოდ გამოცხადების შესახებ

საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალური, მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღესთან დაკავშირებით,

2002 წლის 14 ოქტომბერს „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის“ ხელმოწერილი კონსტიტუციური შეთანხმების მე-10 და მე-11 მუხლებიდან გამომდინარე,

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში წარმოებული რელიგიური პოლიტიკისა და მისი შედეგების უკანონოდ გამოცხადების შესახებ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის დადგენილების გათვალისწინებით,

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. 1801 წლიდან რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში წარმოებული რელიგიური პოლიტიკა და მისი შედეგები, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, გამოცხადდეს უკანონოდ.
2. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს განაახლოს „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველყოფ კომისიათა შექმნის შესახებ“ 2003 წლის 7 იანვრის №1 ბრძანებულებით შექმნილი კომისიის შემადგენლობა;
3. ეთხოვოს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველყოფ კომისიას 2006 წლის 1 მაისამდე წარმოუდგინოს საქართველოს პარლამენტს წინადადებები საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის კუთვნილი, რუსეთში გაგანილი, საეკლესიო საგანძურის საქართველოში დასაბრუნებლად.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე
თბილისი, 2006 „ .. “ მარტი

ნინო ბურჯანაძე